

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №6**

ქ.თბილისი

23.10.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნინო ქუთათელაძე - მსოფლიო ბანკის განათლების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარე; მაია მაღლაკელიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, სხდომის მდივანი;

ლაშა მკურნალიძე - ა(ა)იპ - ასოციაცია „სკოლა - ოჯახი - საზოგადოების“ აღმასრულებელი დირექტორი;

ინდირა ამირანაშვილი - დაწყებითი განათლების პროექტის (USAID/G-PriEd) დირექტორის მოადგილე;

მანანა რატიანი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი;

პავლე თვალიაშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი, შპს განათლებისა და მართვის გუნდის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამთა კობახიძე - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;

თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ნინო გაგელიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ანა ლელაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ შენგალია - ავტორიზაციისა სა აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

რამაზ გიუნაშვილი - გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;

დაწესებულებების წარმომადგენლები:

მარინე მირიანაშვილი - შპს სკოლა ოპიზას დირექტორი;

გიორგი გეთათაშვილი - შპს სკოლა ოპიზას ხარისხის მართვის მენეჯერი;

გია მაისაშვილი - ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრ - თავისუფალი სკოლის წარმომადგენნლი;

ცირა ქასრაძე - შპს მომავლის სკოლის დირექტორი;

ნათია ნიკაჭაძე - შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის დირექტორი;

ინდირა ანანიძე - შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის სასწავლო დარგის მენეჯერი;

ქეთევან სიქტურაშვილი - შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის დამფუძნებელი;

ნაზი ქალდანი - ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ბულალტერი;

ბასილ ფილფანი - ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორი; ზვიად ხაჭაპურიძე - შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი.ა.-ს დირექტორი; ნინო კობაძე - შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი.ა.-ს წარმომადგენელი; ნინო ჭავჭავაძე ა(ა)იპ - შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი.ა.-ს წარმომადგენელი; მარინე ჭავჭავაძე - შპს ცოდნის წარმომადგენელი; რევაზ ჯანჯლავა - შპს ცოდნის წარმომადგენელი; დანიელ დავითაშვილი - პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშავთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნოდარ ანგურიძე;
ნინო ბალანჩივაძე;
მარიამ ხუციშვილი;
ნელი ნასყიდაშვილი;
თეა ლილუაშვილი.

თავმჯდომარემ გახსნა სხდომა 16:16 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსნა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თამთა კობახიძემ აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის 1² პუნქტის თანახმად, სათათბირო ხმის უფლებით დაესწრებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი - მაია ჩიხლაძე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

- 1.შპს სკოლა ოპიზაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
- 2.ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრ - თავისუფალ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
- 3.შპს მომავლის სკოლაში (ს/კ: 445412107) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
- 4.შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

5. ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი.ა.-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს ცოდნისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
8. შპს ყოვლად წმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისთვის (ს/კ: 202065068) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის მოვალოების შემსრულებელმა, თამთა კობახიძემ აღნიშნა, რომ ცენტრში შემოვიდა შპს ყოვლად წმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის (ს/კ: 202065068) კორესპოდენცია (ცენტრში რეგისტრაციის №832986), რომლითაც დაწესებულება ითხოვდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა გადადებულიყო მომდევნო სხდომისთვის.

ასევე ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრ - თავისუფალ სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა ზეპირი შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ითხოვდა საკითხის გადადებას მომდევნო სხდომისათვის, რათა საბჭოს მომდევნო სხდომისთვის წარმოედგინათ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდენილი შუამდგომლობები.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. შპს სკოლა ოპიზაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს მომავლის სკოლაში (ს/კ: 445412107) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქული.ა.-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ცოდნისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის ახალი წესრიგი.



1.შპს სკოლა ოპიზაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ, საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს გარე მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა რამაზ გიუნაშვილმა და ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების საფუძველს წარმოადგენდა, დაწესებულების ფართთან დაკავშირებული საკითხი - ავტორიზაციის მინიჭებისას სკოლა ფუნქციონირებდა ორ მისამართზე, რის შემდეგაც მან მეორე მისამართზე ფუნქციონირება შეწყვიტა. შესაბამისად, ექსპერტებს ევალებოდათ შემოწმებინათ სკოლის მატერიალური რესურსი. ნოდარ ანგურიძის თქმით, ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა კონკრეტული ხარვეზები, რომლებიც ვიზიტსა და დასკვნის მომზადების პერიოდში გამოსწორდა.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას ჰქონდა 559 ერთადგილიანი მერხი, შესაბამისი რაოდენობის სკამებით. სკოლამ წარმოადგინა მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. თუმცა სკოლას ესაჭიროებოდა 600 ერთადგილიანი სასკოლო მერხი ავტორიზაციის მიზნებისათვის. დასკვნის მომზადების პროცესში, მიმდინარე წლის 15 სექტემბერს სკოლამ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა დამატებით 41 ერთეული ერთადგილიანი მერხის შეძენისა და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

1.2 ვიზიტის პერიოდში, ბიბლიოთეკაში იყო საინვენტარო წიგნი, რომელშიც, წიგნების ნომრები არეული იყო, ხოლო ზოგიერთი წიგნი საერთოდ არ იყო გატარებული. ამასთან, სკოლამ სრულად ვერ წარმოადგინა წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დასკვნის მომზადების პროცესში, მიმდინარე წლის 15 სექტემბერს სკოლამ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა საინვენტარი წიგნის განახლებისა და წიგნების ფლობის დამადასტირებელი დოკუმენტაცია;

1.3 დაწესებულებას შენობის შიგნით არ ჰქონდა სრულად დამოწაჟუბული პანდუსები. დასკვნის მომზადების პროცესში, მიმდინარე წლის 15 სექტემბერს სკოლამ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა ფოტომასალა საიდანაც ჩანს, რომ სკოლამ სრულად დაამოწაჟუბული პანდუსები.

1.4. სკოლას შესყიდვის დოკუმენტაციის მიხედვით ჰქონდა 4 ცეცხლმაქრი, ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლას გააჩნდა ორი სახანძრო დაფა თითო ცეცხლმაქრით. თუმცა იმისათვის, რომ შენობის ყველა სართული ყოფილიყო უზრუნველყოფილი სახანძროუსაფრთხოებით, დამატებით ესაჭიროებოდა 3 ცეცხლმაქრი. აქედან, ერთი ძველი კორპუსის მესამე სართულისათვის, ხოლო ორი ახალი კორპუსის პირველი და მეორე სართულებისათვის. დასკვნის მომზადების პროცესში, მიმდინარე წლის 15 სექტემბერს სკოლამ



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა მეხუთე ცეცხლმაქრის შესყიდვის დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადები და ჩეკი;

1.5 დაწესებულებას ჰქონდა 4 გარე და 6 შიდა უსაფრთხოების კამერა. სკოლის შენობას გააჩნდა ერთი ძირითადი და სამი სათადარიგო გასასვლელი. გარე კამერებიდან ორი დამონტაჟებული იყო ძირითად შესასვლელზე, ორი გამზადებული იყო დასამონტაჟებლად ორ სათადარიგო გასასვლელზე, ამდენად, სკოლა საჭიროებდა დამატებით ერთი კამერის შემენას და დამონტაჟებას მესამე სათადარიგო გასასვლელისთვის.

დასკვნის მომზადების პროცესში, მიმდინარე წლის 15 სექტემბერს სკოლამ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა შპს „ჯესკო ჯგუფთან“ 2014 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულება №10/09/14-01, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების საგანი იყო:

- ა) 2 ცალი შიდა კამერის მონტაჟი;
- ბ) 2 ცალი არსებული კამერის შეკეთება;
- გ) 2 ცალი გარე კამერის მონტაჟი;
- დ) 1 ცალი გარე კამერის მიწოდება და მონტაჟი.

დაწესებულებამ ხელშეკრულებასთან ერთად წარმოდგინა გადახდის ქვითარი და მიღება-ჩაბარების აქტი.

საბჭოს წევრი, მაია მაღლაკელიძე დაინტერესდა, იყო თუ არა დაწესებულებაში ბიბლიოთეკარის შტატი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა ბიბლიოთეკარი, რომელიც პასუხისმგებელი იყო წიგნის გაცემაზე. მან აქვე დასძინა, რომ საინვენტარო წიგნში ტექნიკური შეცდომები ჰქონდათ, რომელიც გამოასწორეს.

საბჭოს წევრი, მანანა რატიანი დაინტერესდა, თუ რამდენად შესაბამისი იყო დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭების დროს განსაზღვრული მოსწავლეთა რაოდენობისათვის (600 მოსწავლე) 25 კომპიუტერი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ დამატებით შეიძინეს 30 კომპიუტერი და მან საბჭოს წევრებს წარუდგინა 22 პერსონალური კომპიუტერისა და 1 ნოუთბუქის შემენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ კომპიუტერების ეს რაოდენობა საკმარისი იყო მოსწავლეების რაოდენობასთან შეფარდებით.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ოპიზის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სკოლა ოპიზას (ს/კ: 208218819) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2.შპს მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ, საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის სამართველოს კოორდინატორმა, თამთა კობახიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნულ სკოლაში მონიტორინგი განხორციელდა 2014 წლის 3 სექტემბერს. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების საფუძველს დაწესებულების მიერ ფართის ცვლილება წარმოადგენდა. თამთა კობახიძემ განაცხადა, რომ ვიზიტის დროს გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური რესურსი და დასკვნაში ხარვეზები დაფიქსირებული არ იყო. მან წაიკითხა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთქმული რეკომენდაციები დაწესებულების მიმართ, კერძოდ, რეესტრის ამონაწერის საფუძველზე დაწესებულების ფართი მიეკუთვნებოდა მშენებარე ფართის ტიპს, თუმცა, ადგილზე დათვალიერებით დასტურდებოდა, რომ შენობის ოთხივე სართული (3 სართული და მარსარდა) დასრულებულ მდგომარეობაში იყო. თამთა კობახიძის თქმით, ექსპერტებმა რეკომენდაცია მისცეს დაწესებულების წარმომადგენლებს, განეხლებინათ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ მოითხოვა, რომ საბჭოს წევრები გაცნობოდნენ განახლებული ინფორმაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ცირა ქასრაძემ განუცხადა საბჭოს წევრებს, რომ შეასწორეს საჯარო რეესტრში ეს ინფორმაცია და ხელთ ჰქონდათ ამის დამადასტურებელი დოკუმენტია.

თამთა კობახიძემ აღნიშნა, რომ სკოლის პირველ და მეორე სართულებს შორის კიბეზე დამონტაჟებული იყო პანდუსი, ხოლო დანარჩენ სართულებზე დასამონტაჟებლად სკოლას დადებული ჰქონდა ხელშეკრულება კერძო პირთან, რომელსაც უნდა მიეწოდებინა პანდუსები 2014 წლის 13 სექტემბერს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დანარჩენ სართულებზეც დაამონტაჟეს პანდუსები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა, საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მომავლის სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მომავლის სკოლის (ს/კ:445412107) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.



3. შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ, საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნოდარ ანგურიძემ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა 620 მოსწავლით განისაზღვრებოდა და დაწესებულებას ამჟამად 603 მოსწავლე ჰყავდა. ექსპერტის თქმით, სკოლა-ლიცეუმს სურდა კონტიგენტის 120 მოსწავლით გაზრდა, ჯამში - 740 ადგილი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა არსებითი ხარვეზები, რომელთა ნაწილი, დაწესებულების მიერ გამოსწორდა.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა 2013-2014 სასწავლო წლების სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იყო ე.წ „სტანდარტსტანდებით“ მომსახურება. ჩამოთვლილი იყო საგნები შესაბამისი კლასის მითითებით, თუმცა არ იყო მითითებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახე (სავალდებულო იყო თუ ფაკულტატური) და შეფასების სისტემა, რითაც დარღვეული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის ბ) და დ) ქვეპუნქტები;

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმაში საათობრივი ბადე მოცემული იყო ცალ-ცალკე, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქ. №71 - ში მდებარე შენობის დამხამრე ორ გასასვლელში არ ეყენა გარე ვიდეო სამეთვლყურეო კამერები, შიდა კამერა ეყენა მხოლოდ ორ სართულზე. რაც შეეხება შენობას მდებარე ქ. ბათუმში, პ. აბაშიძის ქ. №26-ში გარე ვიდეო სამეთვალყურეო კამერები საერთოდ არ ჰქონდა. შიდა კამერები კი აქაც მხოლოდ ორ სართულზე ეყენა. დაწესებულებამ ფაქტიურად არსებული ოთხი შიდა და ორი გარე კამერიდან, წარმოადგინა მხოლოდ ერთი გარე და ერთი შიდა კამერის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი);

2.2 დაწესებულებაში არ იყო ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის;

2.3 სკოლაში არ იყო შემუშავებული: ხანძარსაწინააღმდეგო, სამედიცინო დახმარების და უსაფრთხოების მექანიზმები. თუმცა, მათ ჰქონდათ: ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია, უსაფრთხოების ინსპექტორის სამუშაო პორტფელით და თანამდებობრივი ინსტრუქცია, სრულდებოდა მასწავლებელთა მორიგეობა.

2.4 დაწესებულების ორი შენობიდან მხოლოდ ერთ შენობაში იყო გამოყოფილი ფართი, რომელშიც განთავსებული იყო ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი (2 ერთ ადგილიანი მაგიდა თავის სკამით, ერთი კომპიუტერი). ამით, ირღვეოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მე-8 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ეფექტურ მართვას.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 .მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ იყო გათვალისწინებული ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ოდენობები და მიცემის პირობები (წესი). აღნიშნული წაროადგენდა ხარვეზი ფიქსირდებოდა ასევე, სკოლის შინაგანაწესშიც, რითაც ირღვეოდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნები.

3.2 სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მექანიზმები, თუმცა ჰქონდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.

ექსპერტის განამრტებით, დაწესებულებას ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა კორესპოდენცია დადგენილი ხარვეზების გამოსწორების თაობაზე, და საბჭოს სხდომაზე წარმოადგენდნენ დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის უფლება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ გაითვალისწინეს ყველა შენიშვნა და გამოასწორეს ხარვეზები. სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს წარუდგინა პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებული ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დოკუმენტაციას საბჭო გაეცნობოდა სათათბირო ოთახში მათი მოცულობიდან გამომდინარე.

დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა ასევე 13 ახალი შიდა და გარე კამერის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და შესაბამისი ფოტო მასალაც.

საბჭოს წევრი, მანანა რატიანი დაინტერესდა, დაწესებულების მიერ არჩეული სპორტის სახეობებით და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რამდენად შესაბამისი იყო გოგონებისათვის ჭიდაობა და მხოლოდ ჭადრაკი, როგორ განვითარებდა აღნიშნული სახეობები მოზარდთა ფიზიკურ უნარებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლის მოსწავლეები დაკავდებოდნენ ასევე, კალათბურთითა და მაგიდის ჩოგბურთით.

საბჭოს თავმჯდომარე, ნინო ქუთათელაძე დაინტერესდა, უზრუნველყო თუ არა დაწესებულებამ ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ აქამდეც იყო დაწესებულებაში შესაბამისი პირობები შექმნილი, მხოლოდ სველი წერტილი არ იყო ადაპტირებული და ისიც დაამონტაჟეს ერთ შენობაში.

საბჭოს წევრი, მაია მაღლაკელიძე დაინტერესდა, მხოლოდ ერთგან რატომ იყო ბიბლიოთეკა მაშინ, როდესაც სკოლა ორ მისამართზე ფუნქციონირებდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტების მხრიდან რეკომენდაციის მიღების შემდეგ მეორე შენობაშიც დაამატეს ბიბლიოთეკარის შტატი და ბიბლიოთეკაც გააკეთეს.

საბჭოს წევრი, ინდირა ამირანაშვილი დაინტერესდა, მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, რამდენად მზად იყო დაწესებულება მატერიალური რესურსის თვალსაზრისით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 116 მერხი შეიძინეს დამატებით და ხელთ ჰქონდათ დამადასტურებელი დოკუმენტაცია.



სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, დაწესებულებაში ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართულობით და კითხვით მიმართა მათ - ხდებოდა თუ არა დაწესებულებაში ცრუ განგაშის მოწყობა, მოსწავლეების მზაობის შესამოწმებლად ხანძრის გაჩენის შემთხვევაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველაფერი წესრიგში ჰქონდათ, მაგრამ ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ მოქმედი ინსტრუქციები არ აკმაყოფილებდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შემუშავებულიყო მექანიზმი, რის შემდეგაც მოხდა მათ სკოლაზე მორგებული ხანძარსაწინააღმდეგო მექანიზმის შემუშავება. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლის მოსწავლეებისათვის ცრუ განგაში არ მოუწყვიათ, მაგრამ ყველა მოსწავლე ინფორმირებულია, თუ როგორ უნდა მოიქცეს ხანძრის გაჩენის შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარე, ნინო ქუთათელაძე დაინტერესდა, მასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში, რატომ არ ჰქონდათ გათვალისწინებული საშვებულებო პერიოდი. დაწესებულების წარმომამადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტების რეკომენდაციის შემდეგ, მათ ეს ხარვეზიც გამოასწორეს და ხელშეკრულებებში გაითვალისწინეს 24 დღიანი ანაზღაურებადი შვებულების პერიოდი.

სხომაზე 17:05 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 17:15 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და მისცა მათ ზოგადი ხასიათის რეკომენდაცია, კერძოდ, განმავითარებელი შეფასების კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით მიმართონ სასწავლო გეგმების დეპარტამენტსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს.

დაწესებულების წარმომადგენელმა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 740-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 740-მდე გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასს (ს/კ: 245546734) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 740-ით.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ლაშა მკურნალიძე.

4.5(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქონდა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი წარმატება;

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ - ნინო ბალანჩიგვაძემ. მან განაცხადა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო ხარვეზები, კერძოდ:

1. საგანმანთლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლას არ ჰქონდა რუსულის V – V I კლასის თემატურ-კალენდარული სასწავლო პროგრამა, რაც პედაგოგმა იმით ახსნა, რომ ამ ეტაპზე არ იცოდა რომელი სახელმძღვანელო გამოყენებინა. ექსპერტთა რეკომენდაციითა და ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით სკოლამ ეს ხარვეზი აღმოფხვრა და V – VI კლასის სასწავლო თემატურ-კალენდარული პროგრამა შეიმუშავა პირველი დონის სახელმძღვანელოების გამოყენებით;

1.2 სკოლაში ფუნქციონირებდა I - V I კლასები. სკოლას სურდა დაემატებინა საბაზო საფეხური. მართალია, ამ ეტაპზე მას არ ჰქონოდა უფლება საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესის განხოციელების, მაგრამ აღმოჩნდა, რომ VII-VIII კლასებში ჰყავდათ რამდენიმე მოსწავლე, რაც კანონმდებლობით დარღვევა იყო. ექსპერტთა ვიზიტის დროს საბაზო საფეხურის მოსწავლეები მობილობის წესით გადავიდნენ საჯარო სკოლაში;

1.3 ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ პირველ საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა ავტორით შერჩეული სახელმძღვანელოებით, რაც არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;

1.4 დაწყებითი საფეხურის I – IV კლასებში სკოლაში მოქმედებდა განმსაზღვრელი შეფასების სიტემა, რაც არ შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმის. ექსპერტთა ვიზიტის დროს საგნის პედაგოგებმა და სკოლის ადმინისტრაციამ ეს ხარვეზი აღმოფხვრა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულებას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2007 წელს გადაცემული ჰქონდა უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით თამარ მეფის #1 მდებარე ფართი 1216.00 კვ.მ. აღნიშნულ ფართობზე მდებარე ორი შენობას 2007 წლის შემდეგ ჩაუტარდა რესტაურაცია, მოხდა სართულების დაშენება და ფართობის გაზრდა, თუმცა რეესტრში ინფორმაცია არ განახლებულა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წერილობით მიმართა რეესტრს, რათა მომხდარიყო განახლებული ფართის შესახებ ინფორმაციის დარეგისტრირება;

2.2 ექსპერტების ვიზიტის დროს სკოლამ ვიზუალურად წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმაში მითითებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები I-VI კლასის ჩათვლით. VII-IX კლასის წიგნებთან დაკავშირებით სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ უახლოეს



მომავალში მოხდება ამ სახელმძღვანელოების ბიბლიოთეკაში შემოტანა, რაც აქამდე ვერ მოხერხდა ადგილმდებარეობის გამო (ადგილზე არ არის სახელმძღვანელოების შეძენა შესაძლებელი, მათი ჩამოტანა უნდა მომხდარიყო ზუგდიდიან);

2.3 ვიზიტის პერიოდში ერთი გარე კამერა არ იყო მუშა მდგომარეობაში. დაწესებულებამ გამოიძახა სპეციალისტი თბილისიდან გარე კამერის გამართვის მიზნით.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომაზე უნდა წარმოედგინათ ვიზიტის დროს დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი მასალები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ შეიძინეს სახელმძღვანელოები და ხელთ ჰქონდათ დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტომასალა. გარე კამერებთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ ცენტრალური გათბობის დამონტაჟების დროს დაზიანდა გარე პერიმეტრის ერთი კამერა, რის შემდეგ მოხდა მისი შეკეთება და ამის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც იყო წარმოდგენილი. საბჭოს წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ექსპერტმა დაადასტურა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ხარვეზები აღმოფხვრილი იყო.

საბჭოს წევრი, პავლე თვალიაშვილი დაინტერესდა, დაწესებულებაში რა სახის საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდებოდა და ადამიანური რესურსის ნაწილი რამდენად შესაბამისი იყო სტანდარტთან.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, არის შესაბამისი პროგრამები, რომელიმე პროფილური მიმართულება არ აქვს დაწესებულებას აღებული, განსხვავებული აქვთ მხოლოდ საღვთო სკულის ისტორია, როგორც სავალდებულო დისციპლინა.

საბჭოს წევრი, პავლე თვალიაშვილი დაინტერესდა, თუ რამდენად შეესაბამებოდა საღვთო სჯულის სავალდებულო საგნად სწავლება დაწესებულების მისიას. ექსპერტმა განცხადა, რომ ის გაეცნო საღვთო სჯულის პროგრამას და ის შესაბამისობაში იყო დაწესებულების მისიასთან. ამასთან, როგორც ექპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ისწავლება ქართული რეწვა, რაც ასევე ემსახურება დაწესებულების მისიას - კულტურული მემკვიდრეობის გაცნობასა და ტრადიციების ჩამოყალიბებას. აღნიშნულის განხორციელება დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა სტრატეგიული განვითარების გრძელვადიან გეგმაში და ის შესაბამებოდა მისიას.

საბჭოს წევრი, პავლე თვალიაშვილი დაინტერესდა, თუ როგორ მოხდებოდა საღვთო სჯულის შეთასება, ანუ რა შემთხვევაში ჩაეთვლებოდა მოსწავლეს საგანი გაფლილად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საღვთო სჯულის სწავლებისას ჩათვლა იწერებოდა და თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მიდგომა ჰქონდათ, ცდილობენ არ შეექმნათ სტრესული გარემო და წახალისების სხვადასხვა ფორმას მიმართავდნენ.

საბჭოს თავმჯდომარე, ნინო ქუთათელაძე დაინტერესდა, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, რამდენ ხანში იქნებოდა მზად დაწესებულება მიეღო მოსწავლეები. დაწესებულების წარმომადგენელმა გამოხატა მზაობა მოსწავლეების მიღებაზე, ავტორიზაციის მინიჭებისთანავე.

საბჭოს წევრი, ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, დაწესებულებას ფართი სამართლებრივად რა ფორმით ჰქონდა გადმოცემული საპატრიარქოსგან, იყო თუ არა სახეზე საპატრიარქოსა და დაწესებულებას შორის უძრავი ქონების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას უსასყიდლო უზუფრუქტით ჰქონდა საპატრიარქოს მიერ გადმოცემული ფართი, რომელიც რეესტრში არ იყო რეგისტრირებული.

b. Fry S

ექსპერტმა აქვე დასძინა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებს მოსთხოვეს შენობის თაობაზე საჯარო რეესტრში ინფორმაციის განახლება.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 17:40 საათზე.

სხდომა განახლდა 17:55 საათზე.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელებს, რომ ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტს წარმოადგენდა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მატერიალური ფართის, მათ შორის უძრავი ქონების ფლობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საპატრიარქო დაწესებულებას გადასცემდა შენობა-ნაგებობას, სავალდებულო იყო რომ, დაწესებულებას აღნიშნული ფართი დაერეგისტრირებინა საჯარო რეესტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 150-ით.

დაწესებულებას საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე დაევალა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებში ცენტრში წარმოედგინა ამ ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ლაშა მკურნალიძემ მიმართა ავტორიზაციისა და აკრედიტაციისა სამსახურის თანამშრომლებს, მომხდარიყო აღნიშნულის შესახებ საბჭოს ინფორმირება მომდევნო სხდომისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლურ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას (ს/კ: 435891117), 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

5. შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქული ი.ა.-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ - ნელი ნასყიდაშვილმა და ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნოდარ ანგურიძემ.

ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ის ხარვეზები, რომლებიც დაფიქსირდა დაწესებულებაში ვიზიტის დროს.

1. საგანმანათებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას რუსული ენის სწავლება გაწერილი ჰქონდა სასწავლო გეგმაში სავალდებულო სახით მეორე კლასიდან და შესაბამისი ნებართვა - მეორე უცხო ენის მეორე კლასიდან სწავლებასთან დაკავშირებით, არ ჰქონდა განათლებისა და მეცნიერებისა სამინისტროდან მიღებული;

1.2 დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი : 1) რუსული ენის სწავლების თემატური გეგმები II და III კლასისათვის, 2) „ჩვენი საქართველოს“ სწავლების თემატური გეგმა VI კლასის I სემესტრისათვის;

1.3. დაწესებულებაში არსებობდა მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელშიც არაერთგავროვანი მიდგომა იყო პირველ-მეოთხე კლასებში განმავითარებელი შეფასების გამოყენებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ბუნებისმეტყველების III კლასის სილაბუსში, არ იყო მოსწავლის ცოდნისა უნარების შეფასების გრაფა, არამედ იყო სასწავლო კურსის შეფასების გრაფა, რომელშიც ეწერა: „შეფასება იქნება წერითი ტესტის სახით. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით წლის განმავლობაში ჩატარდება 6 წერითი ტესტი. გვექნება აგრეთვე შემაჯამებელი ზეპირი გამოკითხვაც“. ექაპერტმა აღნიშნა, რომ ამის მსგავსი ეროვნულ სასწავლო გეგმაში არაფერი ეწრა, ამდენად შეფასების ეს მიდგომა არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. აგრეთვე, მათემატიკის I, II, III, IV, V, VI კლასის სილაბუსებშიც, სასწავლო კურსის შეფასების გრაფაში ეწერა: „საშინაო დავალება (შესრულების სიხშირე, სისწორე/ხარისხი), საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა (ინდივიდუალური და ჯგუფური საკლასო სამუშაოს შესრულება-ზეპირი/წერითი სამუშაოები), შემაჯამებელი სამუშაო (ტესტი), ქცევა გაკვეთილზე და შესვენებაზე (მასწავლებლის ინსტრუქციების შესრულება, საკუთარი ნივთების მოვლა/მოწესრიგება, საკლასო წესების დაცვა, განმავითარებელი შეფასებები (მოსწავლის თვითშეფასება, მასწავლებლის სიტყვიერი /წერილობითი კომენტარი“).

სპორტის სილაბუსებში შეფასების გრაფა არ იყო დაფიქსირებული.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების I-VI კლასების სილაბუსებში, სასწავლო კურსის შეფასების გრაფაში ეწერა: საშინაო დავალება, საკლასო დავალება და შემაჯამებელი დავალება. ეს იყო მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტები. არ იყო მოსწავლის

განმავითარებელი შეფასების განხორციელების დამადასტურებელი რაიმე ჩანაწერი და ამდენად არ ჩანდა დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენების მიდგომები.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 შენობის პირველი სართული ნახევარსარდაფი იყო (მისი ნახევარი მიწის ზედა, ხოლო ნახევარი მიწის ქვედა ნაწილში იყო). სკოლა სასწავლო დანიშნულებით მისი ნაწილის გამოყენებას გეგმავდა. აქ იყო ასევე ექიმის კაბინეტი, ბნელი და სარდაფის ტიპის ოთახი ვენტილაციის გარეშე, ამდენად, ეს ოთახი სამედიცინო მიზნებისათვის გამოუსადეგარი იყო;

2.2 სკოლაში იყო 6 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილი იყო 93 ერთეული ინდივიდუალური მერხით და სკამით, გარდა ამისა, სკოლას გააჩნდა კიდევ 28 მერხი და 11 სკამი, რომლებიც სკოლის დათვალიერების დროს განთავსებული იყო შენობის სხვადასხვა ადგილას (ფოიე, კიბის უჯრედი, დარბაზი). სკოლამ დაადასტურა 93 მერხის ფლობა - მათი დამზადებისა და მასალების შესყიდვის დოკუმენტაციით და 90 სკამის ფლობა - შესყიდვის დოკუმენტაციით. დანარჩენი მერხების და სკამების ფლობა სკოლამ ვერ დაადასტურა. ყველა კლასში იყო მასწავლებლის მაგიდა და სკამი, 4 საკლასო ოთახში იყო დაფა, ორ მათგანში დაფა არ იყო;

2.3. პირველი სართულის დარბაზში, რომელსაც სკოლა აპირებდა გამოეყენებინა ცეკვისა და სპორტის გაკვეთილებისთვის, იყო ბუხარი, რომლის წინ იატაკი 50 სმ-ით უფრო დაბლა იყო, ვიდრე დარბაზის დანარჩენ ნაწილში, ამიტომ მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროებდა დანარჩენი ნაწილისგან იზოლირებას;

2.4. მეორე სართულის ერთ-ერთი საკლასო ოთახში ბუნებრივი განათება არ იყო საკმარისი;

2.5 სკოლის ბიბლიოთეკაში წიგნები არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით (ზოგიერთ მათგანს მინიჭებული ჰქონდა საკატალოგო კოდი და საინვენტარო ნომერი, თუმცა არ ჰქონდა ჯიბაკები). წიგნები არ იყო გატარებული საინვენტარო წიგნში (ასეთი ჟურნალი არ არსებობდა);

2.6. დაწესებულებას არ ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეთათვის.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1. სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული თანამშრომელთა შერჩევისა და მიღების წესი. სკოლის მერ წარმოდგენილ კორესპონდენციებში არ აიყო ასახული კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და დასაქმებულთა შერჩევის წესის შესახებ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს მოხდა დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრება, მათთვის შენიშვნებისა და რჩევების ადგილზე მიცემა და შესაბამისად საბჭოს სხდომაზე უნდა წარმოედგინათ ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი მასალები.

დაწესებულების დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, რომ საშუალება მისცეს მათ შეცდომები გამოესწორებინათ და განმარტა, რომ რუსული ენის მეორე კლასიდან სავალდებულოდ სწავლების ნებართვისათვის სამინისტროს მიმართავდნენ, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, ხოლო თუ ასეთ ნებართვას ვერ მიიღებდნენ, მაშინ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად წარმართავდნენ სასწავლო პროცესს. მან აგრეთვე სილაბუსებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ კუთხით მართლაც იყო დაშვებული შეცდომები, რაც გამოსწორდა ვიზიტის დარულების შემდგომ.

დაწესებულები წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას აქვს ერთიანი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და მათი კვალიფიციური პედაგოგები სასწავლო პროცესის დაწყებასთან ერთად ეტაპობრივად დეტალურ აღწერას

გადაიტანდენ სილაბუსებში. აქვე, დასმინა რომ მათემატიკის სილაბუსში ნამდვილად იყო ქცევის შეფასების ჩანაწერი, რომელიც მხოლოდ მასწავლებელს ექნებოდა და ის ჩაინიშნავდა გაკვეთილის ბოლოს, კონკრეტული მოსწავლის არაადეკვატურ ქცევას.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ მათ გადაეცათ სილაბუსების შესწორებული ვარაიანტები ექსპერტებისათვის და შემდეგ ექსპერტები მოხსენებდნენ საბჭოს წევრებს შეფასებას. საბჭოს წევრმა, აქვე განუმარტა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ხარვეზის აღმოფხვრა ნიშნავდა ისეთი გარემოების გამოსწორებას, რომელიც დადსტურებაც შესაძლებელი იყო ექსპერტთა ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის გარეშე საბჭოს სხდომაზე. ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სრულფასოვნად ადგილზე შესწავლა იყო ფაქტობრივად შეუძლებელი, ვინაიდან საბჭოს სხდომის ფორმატი აღნიშნულს არ ითვალისწინებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინათ სხვა საკითხებზე, რომლებზეც ასევე ხარვეზი იქნა დადგენილი და დაინტერესდა, რომელი სპორტის სახეობები ჰქონდა დაწესებულებას გათვალისწინებული სასკოლოს სასწავლო გეგმით.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნა მოსწავლეთა სპორტულ აქტოვობებთან დაკავშირებით, მისი თქმით, დაწესებულების მეოთხე სართულზე იყო ფართი, რომელიც შესაძლებელი იყო გამოეყენებინათ სპორტულ დარბაზად, იქ იყო გაშლილი რბილი იატაკი, აღჭურვილი სპორტული ინვენტარით. ასევე, დასმინა რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ დაწესებულებამ დადო 1 წლიანი ხელშეკრულება საცურაო აუზ „დელფინთან“ და მოსწავლების მიღების შემთხვევაში მოხდებოდა სასწავლო გეგმაში ცურვის გაკვეთილების შეტანა და შესაბამისად მოგვარდებოდა მოსწავლეთა ტრანსპორტირების საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტა, რომ ხელბურთისა და ფეხბურთის თამაშით აპირებდნენ მოსწავლეების დატვირთვას და ამისათვის გეგმაში ჰქონდათ სპეციალური დარბაზის დაქირავება.

საბჭოს წევრები ჩაეკითხნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ როგორ შეათავსებდნენ ერთმანეთთან მოსწავლეთა გადაადგილებას ცურვაზე და სპორტულ დარბაზში აქტივობების ჩატარებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტა, რომ სპორტული დარბაზის დაქირავება სამომავლო გეგმებში შედოდა, ხოლო საცურაო აუზთან უკვე ჰქონდათ ხელშეკრულება დადებული.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა საშუალებით თბებოდა დაწესებულების მეოთხე სართული, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხა, რომ შენობის ყველა სართულზე ცენტრალური გათბობა ჰქონდათ დამონტაჟებული.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ სველი წერტილების მდგომარეობით და ასევე იმ საკითხით, მოხდა თუ არა მათი ადაპტირება სსსმ მოსწავლეებზე. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტა, რომ ეს ხარვეზი გამოასწორეს და აქვე აღნიშნეს, რომ სამედიცინო პუნქტსაც შეუცვალეს ოთახი.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნა ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით, რომ მათ შეიძინეს Openbiblio-ს პროგრამა, რომელიც უკვე ჩაშვებული იყო მოხმარებაში და საბჭოს წევრებსაც შეუეძლოთ ამ ფაქტის დაწესებულების საიტზე შემოწმება.

საბჭოს წევრი, ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა ბიბლიოთეკაში მატერიალურად არსებული წიგნების რესურსით. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტა, რომ ბიბლიოთეკაში ჰქონდათ 140 წიგნი, რომელიც გათვლილი 90 მოსწავლეზე. საბჭოს წევრმა, მაია მაღლაკელიძემ ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ ერთ მოსწავლეზე მინიმუმ 10 წიგნი

უნდა მოდიოდეს და თუ 90 მოსწავლის მიღება სურდა დაწესებულებას 900 წიგნი უნდა ჰქონოდა.

საბჭოს წევრებმა ადგილზე გახსნეს სკოლის ვებგვერდი და სცადეს აღნიშნული საბიბლიოთეკო პროგრამით სარგებლობა, რაც ვერ მოხერხდა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით მომსახურება შეძენილი იყო და მიმდინარეობდა პროგრამის ეტაპობრივი გამართვა.

საბჭოს წევრი, მანანა რატიანი შეეკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, რამდენად იყო დაწყებითი განათლების მიზანი, თანამშრომლობითი და შემოქმედებითი გარემოს შექმნა და კრიტიკული ანალიზის უნარის ჩამოყალიბება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოსწავლეს თავიდანვე უნდა ჩამოუყალიბდეს ეჭვის გამოთქმის უნარი ამა თუ იმ ჰიპოთეზაზე.

დაწესებულების სახელწოდებასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ მეგობარი სკოლა ჰყავთ ნიუ-იურკში, რომელიც თანახმა იყო მათთან თანამშრომლობაზე და გამოცდილების გაზიარებაზე, ასევე მათ გამოხატეს მზაობა, დახმარებოდნენ სკოლას მატერიალური რესურსით, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში. გარდა ამისა, იგეგმებოდა ვიზიტები ნიუ-იორკის სკოლაში, რომელსაც დააფინანსებს დაწესებულების დამფუძნებელი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენ პედაგოგთან ჰქონდა დაწესებულებას ხელშეკრულება დადებული და როგორი იყო მათი კვალიფიკაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას დადებული ჰქონდა ხელშეკრულება 15 მასწავლებლიდან, რომელთაგან 7 იყო სერტიფიცირებული.

დაწესებულების მიერ საბჭოზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმების შედეგად, ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა რუსული ენისა და ჩვენი საქართველოს საგნების თემატურ-კალენდარული გეგმები, ხოლო სპორტის სასწავლო გეგმა არ იყო წარმოდგენილი, შესაბამისად ექსპერტებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ობიექტურად შეფასებინათ იყო თუ არა გამოსწორებული ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შენიშვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო ვალდებული იყო დადგენილ სტანდარტებს მიჰყოლოდა, რომელიც დაწესებულების მხრიდან დარღვეული იყო როგორც საგანმანათლებლო პროგრამებთან, ასევე მატერიალურ რესურსებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა რეკომენდაცია მისცეს დაწესებულებას, გაუმჯობესებინათ მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელიც ამ ეტაპზე არ იყო სრულყოფილი. სრულყოფილად უნდა ყოფილიყო წარმდგენილი ასევე სასწავლო პროგრამები. დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რჩევა ბიბლიოთეკის რესურსის გაფართოებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს წევრებს, თუ იყო შესაძლებელი, რომ დაწესებულებას მისცემოდა პირობითი ავტორიზაცია.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ კანონმდებლობა პირობით ავტორიზაციას არ ითვალისწინებდა. აღნიშნულ შემთხვევაში ფიქსირდებოდა საკითხები რომელიც საჭიროებდა თავიდან შესწავლას და ეს შეუძლებელი იყო მომხდარიყო უშუალოდ სხდომაზე. აქვე დასძინა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საშუალება ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოედგინა სხდომაზე, რაც



მან სრულყოფილად არ გააკეთა. ლაშა მკურნალიძის მოსაზრებით, ექსპერტთა დაკვირვნაში მოცემული ხარვეზები თავიანთი შინაარსიდან გამომდინარე იყო არსებითი ხასიათის.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ქუთათელაძემ დასძინა, რომ აქცენტი კეთდებოდა სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსზე, რაც პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა გამოცდილი სკოლებისთვისაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი შეფასების სისტემა გამომდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმინდა და პასუხობდა დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო სილაბუსებში ამის ასახვა მოხდა ნაწილობრივ.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და მიუთითა, რომ ისინი თავად აღიარებდნენ იმ გარემოებას, რომ შეფასების სისტემა ნაწილობრივ აკმაყოფიელბდა დადგენილ მოთხოვნებს და თუ არ ეთანხმებიან, საბჭოს გადაწყვეტილებასა, მათ უფლება ჰქონდათ გაესაჩივრებინათ ის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი.ა.-ს ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღდეგი - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი.ა.-ს (ს/კ:405044991) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.



6. შპს ცოდნისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მაია ჩიხლაძეს სთხოვა შემოერთებოდა სხდომას, რათა პროფესიული პროგრამების სტრუქტურულ ნაწილში მისი მოსაზრებები მოესმინა საბჭოს.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა - თეა ლილუაშვილმა. მან განაცხადა, რომ დასკვნაში მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან მიმართებით შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული. საგანმანათლებლო პროგრამებში დაფიქსირებული იყო შემდეგი სახის შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ა) „რკინიგზის ელექტრომოძრავი შემდგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის“ პროგრამაში საწარმოო პრაქტიკის და სასწავლო პრაქტიკის საათების ნაწილი გაწერილი იყო „ელექტრომოძრავი შემადგენლობის მექანიკური ნაწილის და ავტომუხრუჭების მოწყობილობის საფუძვლების“ და „ელექტრომოძრავი შემადგენლობის მექანიკური ნაწილის და ავტომუხრუჭების ექსპლოატაციისა და რემონტის საფუძვლების“ სილაბუსებში, ხოლო სასწავლო პრაქტიკის ნაწილი მოცემული იყო სილაბუსით „საზეინკლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოები (სასწავლო პრაქტიკა)“ -ს ეთმობოდა 325 საათი, აქედან 300 საათი სასწავლო პრაქტიკას, 10 საათი შუალედურ და დასკვნით შეფასებას, ხოლო 15 საათი დამოუკიდებელ მუშაობას, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №121/ნ ბრძანებას, რომლის მიხედვით პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დირექტორის ბრძანებით ცვლილება განხორციელდა აღნიშნულ სილაბუსსა და პროგრამებში და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი 15 საათის გადატანა მოხდა სალექციო საათებში.

ბ) სარკინიგზო გადამზიდავის სტანდარტით სარკინიგზო გადამზიდავის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდა 60 კრედიტს. აქედან, 40% ეთმობოდა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60% - საწარმოო პრაქტიკას, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სარკინიგზო გადამზიდავის პროგრამა იყო 60 კრედიტიანი, აქედან 40% ეთმობოდა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში შევიდა ცვლილება სარკინიგზო გადამზიდავის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. აღნიშნული ცვლილებით სარკინიგზო გადამზიდავის პროგრამა აღარ შეიცავდა სასწავლო პრაქტიკის კომპონენტს, თუმცა



სტანდარტით განსაზღვრული საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის ხვედრითი წილის - 900 საათის ნაცვლად, საწარმოო პრაქტიკა მოიცავდა 600 საათს.

გ) სასწავლო პროგრამის სილაბუსებში მოცემული იყო ინფორმაცია კურსის შეფასებასთან დაკავშირებით, სადაც ფიქსირდებოდა, რომ შუალედურ შეფასებებისთვის გამოყოფილი იყო 60 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასებისთვის 40 ქულა. თითოეულ სილაბუსში მითითებულია იყო შუალედურების რაოდენობა და შუალედურებისთვის განკუთვნილი 60 ქულა თანაბრად იყო გადანაწილებული შუალედურებზე. სილაბუსში ასევე ფიქსირდებოდა შეფასების მეთოდების (ტესტი, ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია) ჩამონათვალი, თუმცა ვერ ხერხდებოდა დადგენა რომელი შუალედური რა სახით ტარდებოდა.

დ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში საწარმოო პრაქტიკის ჩატარების ადგილად მითითებული იყო შპს „საქართველოს რკინიგზის“ შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა სს „საქართველოს რკინიგზის“ ინფრასტრუქტურის დირექტორის წერილი, რომლითაც ირკვეოდა რომ აღნიშნული პროგრამების ავტორიზაციის შემთხვევაში წერილობით მიმართვის საფუძველზე სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზა“ თანახმა იქნებოდა დაეშვა სტუდენტები პრაქტიკაზე.

1.2 შპს „ცოდნის“ სამტრედიის პროფესიული კოლეჯის შინაგანაწესის 27-ე მუხლით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. კოლეჯს არ აქვს წარმოდგენილი პროგრამების გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველსაყოფად გაფორმებული მემორანდუმი მსგავსი პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

საბჭოს წევრმა, პავლე თვალიაშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა დაწესებულებას ვებგვერდი ჰქონოდა დაცულ და ფასიან საიტზე გაკეთებული, რაც უზრუნველყოფა მის უსაფრთხოებას.

კერძო კოლეჯების ასოციაციის წარმომადგენელი, მაია ჩიხლაძე მიესალმა საბჭოს და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, როდისთვის აპირებდნენ სტუდენტების მიღებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2 პროგრამას უკვე ახორციელებდნენ, ხოლო ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში გამოცხადებდნენ მიღებას. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამებზე სწავლას აგრძელებდნენ ის პროფესიული სტუდენტები, რომლებიც შპს ცოდნაში არ სწავლობდნენ. პროფესიული პროგრამების განხორციელება ხდებოდა სასწავლო პროფესის დასრულების შემდეგ. მან ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამების დამატება რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებით ხდებოდა. რადგან რეგიონის სხვა პროფესიულ სასწავლებლებში მსგავსი პროგრამები არ ხორციელდებოდა, მეოთხე და მეხუთე საფეხურზე სწავლის გასაგრძლებლად სტუდენტებს შეეძლოთ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამებზე (მეოთხე და მეხუთე საფეხურზე) სწავლის გაგრძელება.

ექსპერტმა დააზუსტა, რომ პრაქტიკული კომპონენტი მოიცავდა მხოლოდ პრაქტიკულ მეცადინეობებს და გამოცდებისათვის მომზადებას. დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი საათები პროგრამაში ცალკე იყო გაწერილი.

საბჭოს წევრი, ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი მანქანა-დანადგარები გააჩნდა თუ არა დაწესებულებას, რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ დანადგარების ნაწილი ადგილზე იყო წარმოდგენილი. საქართველოს რკინიგზის მიერ შპს „ცოდნისათვის“ გამოგზავნილი წერილით დასტურდებოდა, რომ ავტორიზაციის



გავლის შემთხვევაში ისინი უზრუნველყოფნენ სტუდენტების მიღებას მათთვის პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სარკინიგზო გადამზიდავის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში დარღვევა იყო ის ფაქტი, რომ საწარმოო პრაქტიკის საათობრივ დატვირთვაში სასწავლო პრაქტიკის საათების იყო შერეული. მას შემდეგ, რაც დირექტორის ბრძანებით მოხდა აღნიშნული ნაწილის ამოღება პროგრამიდან, 300 საათის განაწილება არ ფიქსირდებოდა.

მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული ადგილზე ვერ გასწორდებოდა, რაც ექსპერტმაც დაადასტურა და დაამატა, რომ აღნიშნულის ცვლილება გამოიწვევდა პროგრამის არსის ცვლილებას, რაც ვიზიტის პერიოდში ვერ განხორცილდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელა აღნიშნა, რომ იზიარებდა ექსპერტთა შენიშვნებს და განაცხადა, რომ პროგრამაში ხარვეზი აღმოფხვრილი იყო, რისი დამდასტურებელი დოკუმენტაცია დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა.

მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ საბჭოზე აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლა არ იქნებოდა შესაძლებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მაია ჩიხლაძეს სთხოვა აღნიშნულთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გაეზიარებინა საბჭოსათვის, რაზეც მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ „რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დასკვნა ცალსახად დადებითი იყო, ხოლო „სარკინიგზო გადამზიდავის“, პროფესიულ საგანმანათებლო პროგრამაში ხარვეზები იყო დაფიქსირებული, რაც გავლენას ახდენდა პროგრამის არსზე, კერძოდ - დარღვეული იყო პრაქტიკული და თეორიული კომპონენტების განაწილების წესი და საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №121/ნ ბრძანება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცოდნისათვის რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცოდნისათვის სარკინიგზო გადამზიდავის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ცოდნას (ს/კ:238730931) მიენიჭოს

უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკო სის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოს ის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:34 საათზე.

თავმჯდომარე
ნინო ქუთათელაძე

მდივანი
მაია მალლაკელიძე